

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ანგარიში

2012 წელი

2012 წელს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებითა და ინიციატივით, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის მხარდაჭერით და უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების დეპარტამენტის თანაორგანიზებით, განხორციელდა სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიება.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

2012 წლის 8 თებერვალს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებითა და ინიციატივით, სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის დახმარებით და აჭარის ა. რ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თანაორგანიზებით ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში: რა? სად? როდის, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეების ცოდნისა და ცნობიერების ამაღლებას საქართველოს ისტორიისა და დავით აღმაშენებლის შესახებ. ღონისძიებაში ქალაქ ბათუმის 26 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა:

1. შ.პ.ს. „თაობა XXI“ --- „თაობელები“
2. სსიპ. #9 საჯარო სკოლა --- „მამულიშვილნი“
3. მე-11 საჯარო სკოლა --- „კრეატივი“
4. მე-14 საჯარო სკოლა --- „4 მუშკეტერი“
5. შ.პ.ს. მასტერკლასი --- „დიდგორი 1“
6. მე-18 საჯარო სკოლა --- „ბუკინისტები“
7. საშუალო სკოლა „ახალგაზრდობა“ --- „ახალგაზრდობა“
8. ზ.გორგილადის სახელობის სკოლა --- „არილი“
9. შ.პ.ს. „მედიანა2011“ --- „მედიანა“
10. რ.შაპინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმი --- „მწიგნობარი“
11. შ.პ.ს. „ნიკე“ --- „ნიკე“
12. შ.პ.ს. გორდა --- „გორდა“
13. შ.პ.ს. ფრანგული სკოლა --- „დიდგორი 2“
14. შ.პ.ს. ევრო-2000 --- „ედელვაისი“
15. შ.პ.ს. ნერგები --- „ნერგები“
16. მე-8 საჯარო სკოლა --- „მონასპა“
17. მე-3 საჯარო სკოლა --- „ALMA MATER“
18. მე-2 საჯარო სკოლა --- „402 ოთახი“
19. #1 საჯარო სკოლა --- „პირველები“
20. შ.პ.ს. კავკასიის ბიზნეს სკოლა --- „დავითიანი“
21. მე-10 საჯარო სკოლა --- „გელათი“
22. შ.პ.ს. გიმნაზია 21-ე საუკუნე --- „არგო“
23. მე-16 საჯარო სკოლა --- „ჯვაროსნები“
24. მე-17 საჯარო სკოლა --- „მისტიკა“
25. მე-7 საჯარო სკოლა --- „დიდგორი 3“
26. შპს ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა --- „მიუწვდომელი უბრალოება“

მონაწილე გუნდებიდან გამოვლინდა სამი გამარჯვებული სკოლა. პირველ ადგილზე გავიდა შპს ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის გუნდი „მიუწვდომელი უბრალოება“, მეორე ადგილზე - რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა - ლიცეუმის გუნდი „მწიგნობარი“, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა სსიპ # 9 საჯარო სკოლის გუნდმა „მამულიშვილნი“. მონაწილე გუნდებს გადაეცათ სერტიფიკატები და გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ წიგნებით, საათებით, უნივერსიტეტის საიუბილეო პაკეტით. გარდა ამისა, აჭარის ა. რ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა 3 გამარჯვებული გუნდი ერთი დღით გაუშვა სამთო - სათხილამურო კურორტ გომარდულში.

კონფერენცია „საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია“

2012 წლის 23 თებერვალს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით, უნივერსიტეტის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის თანაორგანიზებითა და სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის ერთი დღე“. კონფერენციაზე ფართო აუდიტორიის წინაშე ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორებმა წარმოადგინეს საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ მოხსენებები. კონფერენციის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „რადიაცია“

2012 წლის 30 მარტს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით, ბიოლოგიის, ფიზიკის, გეოგრაფიის და ქიმიის დეპარტამენტების თანაორგანიზებით და სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „რადიაცია“, რომელშიც დარეგისტრირებული 18 სტუდენტიდან მონაწილეობა მიიღო საბუნებისმეტყველო მიმართულების ბიოლოგიის, ეკოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის და საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის 10 სტუდენტმა. ახალგაზრდებმა რადიაციასთან დაკავშირებული პრობლემების, მისი გამოძვევი მიზეზებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ წარმოადგინეს აქტუალური სამეცნიერო ნაშრომები. კონფერენციის მონაწილე სტუდენტები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება

2012 წლის 9 აპრილს აჭარის ა.რ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის და უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის თანაორგანიზებაში მონაწილეობას ღებულობდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

18 აპრილი - ისტორიულ ძეგლთა დაცვის საერთაშორისო დღე

ისტორიულ ძეგლთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიემდრვნა 18-21 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებული პროექტი, რომლის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, კერძოდ:

1. სტუდენტებმა რეგიონის ახალგაზრდობასთან და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად პეტრას ციხის დასუფთავების აქციაში მიიღეს მონაწილეობა;
2. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია;
3. გაიმართა ესეს კონკურსი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის;
4. მოეწყო სასწავლო-შემეცნებითი არქეოლოგიურ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში
5. სტუდენტების ორგანიზებით დასუფთავდა არაერთი ეკლესია-მონასტერი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია

2012 წლის 25 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით და სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელზეც ისტორიის სპეციალობის ექვსმა სტუდენტმა წარმოადგინა მოხსენებები საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდიდან დამოუკიდებლობის ბრძოლისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მოხსენებების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია

რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი

2012 წლის 23-დან 27 აპრილის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის საფეხურის პირველი და მეორე კურსის სტუდენტებმა. კონკურსი ითვალისწინებდა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებას, სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესში ჩართულ პირველ და მეორე კურსის სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერასა და წახალისებას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 122 სტუდენტი დარეგისტრირდა, ხოლო მონაწილეობა მიიღო 100 სტუდენტმა. ზემოთ აღნიშნული მონაცემები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგი პროპორციით გადანაწილდა:

- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 54 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 41 სტუდენტმა.
- განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 60 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 51 სტუდენტმა
- ტურიზმის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 0 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა.
- აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 3 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 3 სტუდენტმა.
- საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 5 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 5 სტუდენტმა.

კონკურსი 15 სექციის მიმართულებით მუშაობდა. ესენია: ქართული ფილოლოგიის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, დაწყებითი განათლების, მენეჯმენტის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ეკოლოგიის, ფიზიკის, ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფინანსების, ინგლისური ფილოლოგიის და სამართალმცოდნეობის სექციები.

კონკურსის მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები, გამარჯვებული რეფერატის ავტორს უფლება მიენიჭა საკუთარი ნაშრომი წარედგინა „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - 2012-ზე“.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - 2012

2012 წლის 16-დან 22 მაისის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია – 2012“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებმა. კონფერენციაში, კერძოდ, კი სამკურნალო საქმის სექციაში, ასევე მონაწილეობდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 181 სტუდენტი დარეგისტრირდა, ხოლო მონაწილეობა მიიღო 167 სტუდენტმა. ზემოთ აღნიშნული მონაცემები ფაკულტეტების მიხედვით შემდეგი პროპორციით გადანაწილდა:

- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 57 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 43 სტუდენტმა.
- განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 101 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 96 სტუდენტმა.
- ტურიზმის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 2 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 1 სტუდენტმა.
- აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 1 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 0 სტუდენტმა.
- საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი: დარეგისტრირდა 22 სტუდენტი, მონაწილეობა მიიღო 22 სტუდენტმა.

კონფერენციაში 22 სექცია მუშაობდა: ფინანსების, მენეჯმენტის, ფსიქოლოგიის, სამართალმცოდნეობის, საერთაშორისო ურთიერთობების, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ეკოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ფილოსოფიის, რუსული ფილოლოგიის, ინგლისური ფილოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, ისტორიის, სამკურნალო საქმის, დაწყებითი განათლების, ტელეკომუნიკაციის, გადაზიდვების ორგანიზების და მართვის, ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სექცია.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით, აგრეთვე სამი საუკეთესო ნაშრომი დაიბეჭდება სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა IX-ე შრომათა კრებულში.

სტუდენტთა სამეცნიერო
ცენტრის ხელმძღვანელი:

ლ. ბაჟუნაიშვილი

სტუდენტთა სამეცნიერო
ცენტრის თავმჯდომარე:

რ. ლაზუტკინი